ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 14 თებერვალი 1910 წ.

№ 10

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., აზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, ამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში . თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

წარმოდგენა 35 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 35

კვირას, 14 თებერვალს 1910 წ.

ბენეფისი ტასო აბაშიძისა.

ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: **პირველად ახალი პიესა ბ. შირვან-ზადესი**

I.

ნამუსისათვის

დრამა 4 მოქ. თარგ. კ—ნისა.

II.

გულმა იგრძნო

ვოდ. 1 მოქმედებათ თარგ. მ. საფაროვა—აბაშიძისა.

მონაწილენი: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი.—ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქეიძე, შ. საფაროვი.

ადგ. ფასები: ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

18 თებერვალს, ბენეფისი ი. **ზარდალიშვილის** წარმ. იქ. «**დანაშაული და სასჯელი**“ დოსტოევსკისა,

მზადდება წარმოსადგენათ: „**შავი ბერი**“, „**ხალხის სიკეთე**“, სიკვდილი ნაპოლეონისა. „**დღენი ჩვენი ცხოვრებისა**“.

რეჟისორი: გდ. ალ.-მესხიშვილი **რეჟ. თანაშემწე: გ. ურუშაძე.**

სახალხო უნივერსიტეტი.

კვირას, 14 თებერვალს

ნ. ი. ერმოლაევი წაიკითხავს ლექციას:

პოლიტიკურ ეკონომიაზე

ლექციის შემდეგ გაიმართება

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გავრიშევა, სოლოდიანი, დავიდოვისა. ბ-ნი: ართანოვი, გოფმანი და ჩაროვი.

ძმები პალცევები დაუკრავენ ხკრიპკაზე

დასაწყისი დილის 11 საათზე· აკომპანიმენტი მ. ფ. ზეიცი.

ბილეთების ფასები 5 კაპ. და 10 კაპ.

ბილეთები იყიდება ყველ დღე როგორც კასაში ისე თედო დოლიძესთან და აგრეთვე რკინის გზის სახელოსნოში: «სბორნით ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი“ ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი“ ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების“ დეპოში ნ. იასტეროვთან, ქართველთა ამხ. სტამბაში ბ. მიკირტუმოვთან, საქონლის სადგურში გ. ფილიასთან, „ტრამვაიში“ ლაძესთან, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილთან, „შრომის“ სტამბაში ნესტორ ძესთან.

ქართული თეატრი

„ჯეჯილის“ საიუბილეო დილის წარმოდგენა

კვირას, დილით, 14 თებერვალს 1910 წ.

წარმოდგენილი იქნება: საბავშო ერთმოქმედებიანი ვოდევილი

I

„მდგმური“

„ჯეჯილიდან“

II

ძრილოვის იგავ-არაკნი

ითხავენ გრიმებსა და ტანისამოსებში

III

მუსიკალური

განყოფილება.

IV

ცოცხალი სურათი

დასასრულ

მილოცვა

„ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის სახსოვრათ.

დასაწყისი სწორეთ დილას 12 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში:

დილის გამგე **ეკ. მესხისა** რეჟისორი **ნ. გვარაძე.**

კბილის ექიმი

მანიშვილი—დგებუაძისა

ღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. ომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ოვნური კბილების ჩასმა ყველასა ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ვებს დაკლებულ ფასებში.

ალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ს, გამაყმაძე

ილით მიიღება ავათმყოფები 11 საა ან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვე დალმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

. შ. ჭანტურია

ღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. ოთი 3—7 ს.

ირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის 1 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

ფერშალი

ლეონტი ბარკალაია

ცრისიყვავილს. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგის და ვენერული სენით ავათმყოფებს 3—6 საათამდის

ადრესი: გოგოლის ქუჩა, № 68.

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 14 თებერვალს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

იმედის დალუპვა

დრამა 4 მოქ. ჰეერმანისა, თარ. დ. მესხის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ლექავა, ქიქოძე, ციმაკურიძე და შალამბერიძე; ბ-ნნი: ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ინაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, ხახანაშვილი, ნარი და ცაბაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

რეჟისორი კ. შათირიშვილი, ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

ერიდეთ

შეცდომაში არ შეხვიდეთ!

რა საჭიროა **10** ცალში **5** კაპ. იხადოთ, როცა იმავე ფასში შეიძლება ორჯერ მეტი უკეთესი პაპიროსები იყიდოთ:

ДРУЖБА и ТОВАРИЩЪ **20** ცალი **5** კ.

რომ პაპიროსები საუკეთესო ხარისხის არის, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ბაზარზე გამოიტანეს ამ ფირმის ყალბი პაპიროსები, ამიტომ ყიდვის დროს ფრთხილათ იყავით, მიაქციეთ ყურადღება ფაბრიკის

მარკას და ფირმას

ნ. ი. ბოღოსარქიანცი მე-თ

თფილისში.

(10—10)

გამოვიდა ახალი № 7 სათეატრო-სალიტერატურო-სამხატვრო სურათებიანი ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

თითო ნომერი ყველგან 10 კაპ.

წლიურად 5 მ., ნახ. წლით 3 მ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

ადრესი: Тифлисъ, контора Груз. Драм. об—ва, Іос. Зах. Имедашвили (სათავადაზნ. ქარვასლაში, ქართულ თეატრთან).

რედ.-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

თფილისი, 14 თებერვალი.

ევროპის ყველა სახელმწიფოებში, მხედველობაში არა გვაქვს რუსეთი, გერმანია რაღაც გამონაკლისს შეადგენს თავის რეაქციონური სულით. იქ შესაძლებელია რეიხსტაგის ტრიბუნიდან ისეთი სიტყვების გიგონება, რომლებიც რუსეთში გვესმის ხოლმე შავრაზმელებისგან და ამის ახსნა უნდა ვეძიოთ გერმანიის იუნკრების (აზნაურების) სიძლიერეში, რომლებსაც დღემდის უპირავთ ხელში მართველობის სადავეები და საცა უნდათ, იქით მიმართვენ ხოლმე. ევროპის რომელ სახელმწიფოშია შესაძლებელი ისეთი რამეს თქმა, რაც ამ ერთი თვის წინათ ერთმა კონსერვატორმა დეპუტატმა წამოისროლა რეიხსტაგში: საკმაოა რამდენიმე სალდათი შემოვიდეს რეიხსტაგში და მათი პირველ ბრძანებისთანავე, იმპერატორის სახელით: „დაიშალენით“, ყველა დეპუტატები გავიდენ რეიხსტაგიდანო. გერმანიაში რეაქციის ბუდეთ ითვლება პრუსია. პრუსიის ლანდტაგის საარჩევნო კანონი დღემდის ყოვლად მახინჯი იყო. ის საშუალებას აძლევდა დეპუტატობაზე მხოლოდ იუნკრებს, სხვა წოდებანი გამორიცხულნი იყვენ; ახლა საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით თითქოს განიზრახეს საარჩევნო კანონის შეცვლა, მაგრამ რა შეცვლა! ახალი საარჩევნო კანონით ისევ იუნკრები, ისევ მათი მოძმეები—მოხელეები და პლუტოკრატები უნდა გამეფდენ შიგ და ხმის უფლება სრულიად არ ეძლევა ფართო მასსებს, ნამეტურ მუშათა კლასს. ეს ისეთი დაცინვაა საზოგადოებრივი აზრის, ისეთი ჩაწიხვლაა, რომ ძნელათ წარმოსადგენი იყო ასეთ ნაბიჯის გადადგმა თვით ვილჰელმისგან და მისი მთავრობისგან, მაგრამ მოულოდნელი მოხდა, გაუბედაობას გამბედაობამ აჯობა და ახალი საარჩევნო კანონ-პროექტის დამცველათ ვილჰელმის კანცლერი ფონ-ბეტმან-გოლვეგი გამოვიდა; მან არ დაზოგა არც თავისი ენერგია, არც თავისი მჭერმეტყველება, ისტორია, ფილოსოფია და ყოველგვარი მეცნიერება შეაწუხა იმის დასამტკიცებლათ, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება ეს საკანონმდებლო დაწესებულების გაბახებას ნიშნავს, ეს მის ნაყოფიერობის განახევრებას უდრისო; რა სარგებლობა მოიტანა საყოველთაო საარჩევნო უფლებამ რეიხსტაგის არჩევნებში, განა რეიხსტაგის საკანონმდებლო მოღვაწეობა რითიმე განირჩევა პრუსიის ლანდტაგის მოღვაწეობიდან, საცა საყოველთაო საარჩევნო უფლების ხსენებაც არააო; მთავრობას არ ეშინია არავითარი დემონსტრაციების, არავითარ შემთხვევაში ის თავის აზრს არ შეცვლისო. გერმანიის დინჯმა პროლეტარიატმა, მტკიცე ორგანიზაციას და დისციპლინას შეჩვეულ შესისხლხორცებულმა, იმპერატორის კანცლერის გამოსროლილი ხელთათმანი აიღო და მიუხედავათ ჯარებისა და პოლიციელების ფეხზე დაყენებისა, მიუხედავათ ათასგვარ მუქარისა, მან ჯერ მიტინგები გამართა ბერლინში და სხვა ქალაქებში და მერე თვით არსებული კანონიც გადალახა: გამოვიდა ქუჩაში თავის გულის ნადების საჯაროთ სათქმელათ, მან ინტერნაციონალის სიმღერასთან ერთათ „გაუმარჯოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრასო“ ისიც შესძახა. გალაღებულმა, განებივრებულმა ბერლინის პოლიციამ ვერ მოითმინა ასეთი გაბედული ნაბიჯი პროლეტარიატისა და ხმლებით დაერია უიარაღო ხალხს, მაგრამ მუშებმა მაინც თავისი არ დაიშალეს და გარეშე მაყურებელს ეგონებოდა, როცა 200,000 ათას მუშას უყურებდა ბერლინის ქუჩებზე, რომ რევოლიუცია იწყებაო. იმპერატორმა ვილჰელმმა, როგორც ხმები არის, არაჩვეულებრივი მანიფესტაციების დანახვაზე წამოიძახა თურმე: „მე არ მესმის, რატომ არის ეხლა უკმაყოფილო ჩემი ხალხი, მუდამ წყნარი და ჩუმიო? არ ვიცით, ახლა მაინც შეიგნო თუ არა ვილჰელმ II თავისი ხალხის უკმაყოფილების მიზეზი, მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ თუ ვერ შეიგნო და არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილება, მოკლე დროში უფრო ძლიერი მანიფესტაციის მოლოდინში უნდა იქნეს.

დღეს მთელი კულტურული ქართველი საზოგადოება, მთელი მოზარდი ახალთაობა და პატარა ბავშვები, რომლებმაც ჯერ კიდევ ანბანიც არ იციან, დღესასწაულობენ „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის დღეს. ვინ არის მისი დამაარსებელი, მისი სულის ჩამდგმელი ნივთიერათ და სულიერათ? ანასტასია მიხეილ თუმანიშვილის ასული, რომელმაც პირველმა ჩვენი საზოგადო მოღვაწეებიდან შეიგნო რა საბავშო ლიტერატურის ჩვენში თითქმის სრული უქონლობა, მიყო ხელი სიტყვის საქმეთ ქცევას, ნაკლის გასწორებას და საზოგადო თანაგრძნობის იმედით იწყო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამოცემა. ეს იყო ოცი წლის წინათ. დღემდის, როცა „ჯეჯილს“ გვერდში ამოდგომია მეორე ამავე ხასიათის ჟურნალი „ნაკადული“, ანასტასიას პირნათლათ, ყველასთვის მოსაწონათ მიყავს ეს საქმე; მისთვის არ არსებობს არც ნივთიერი დაბრკოლება, არც ლიტერატურული ძალების უქონლობა, მას არ აშინებს ხელის მომწერთა სიმცირე, მისთვის არსებობს მხოლოთ ერთათ ერთი აზრი: ემსახუროს ბავშვთა მშობლიურ ენაზე აღზრდის საქმეს და ეს აზრი იმდენათ ძლიერია მასში, რომ მისი შემწეობით ის ახერხებს ყოველივე დაბრკოლების ძლევას.

განა „ჯეჯილის“ დამაარსებელია ანასტასია? დღეს სწორეთ დროა გავიხსენოთ მისი სხვა საქმეებიც, რომლებიც ყველანი ერთათ ემსახურებიან ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს. „ჯეჯილის“ გვერდით გამოდიოდა „კვალი“, საცა პირველათ მიეცა წერის საშუალება იმათ რომლებიც ყველა არსებული რედაქციებიდან გამოდევნილი იყვენ ლიტერატურაში ახალი სიტყვის თქმისათვის. „კვალის“ ისტორიის განხილვა ეს ისტორიის საქმეა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ გაზეთის სახელთან შეკავშირებულია მთელი ახალი მოძრაობის დასაწყისი, იქ მისი გაფურჩქვნა.

ჟურნალ-გაზეთებთან ერთად ანასტასია მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ბევრ სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულების დაარსება-გაძღოლა—წარმოებაში და ისეთი ენერგიით და სიყვარულით ევლებოდა მათ თავზე, რომ მისი სახელი განუშორებელი იქნება ამ დაწესებულებების ისტორიასთან.

დღეს ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილთან ერთად, ჩვენც გულწრფელათ ვულოცავთ მას 20 წლის მოღვაწეობას. ბარაქალა ადამიანო! დიდება და პატივი შენს თავდავიწყებულ სიყვარულს ბავშვებისადმი! იდღეგრძელე, რათა შესძლო გაგრძობა შენი საყვარელი და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმისა.

პრესა

არის ერთი ვინმე, რომელსაც ეწოდება გ. ა—ცხელი. თავი ქართველ მწერლათ მოაქვს მას ჭეშმარიტად და ზოგჯერ რუსულ გაზეთებშიაც სწერს. მას ჟამსა შინა მის წერილებს „ნიშადურშიაც“ შეხვდებოდით...

როცა ორ ჯგუფს, ან პარტიას შორის რაიმე საზოგადოებრივი საკითხის გარშემო კამათი ჩამოვარდება, ის უსათუოდ გაჩნდება იქ და მოწინააღმდეგეთა შორის მოსარჩლე პირის როლს ითვისებს—წერილსაც უეჭველათ დასწერს და ყოყოჩობს, მედიდურობს, სხვისი ჭკუის მასწავლებლის როლში გამოდის—მოჰყავს „უმეცართა“ საყურადღებოთ გენიოსთა ნაწერებიდან ამონაწერები და სხვ.

მისი „მადლიანი კალამი“ საზოგადოთ არ სწყალობს „ერთი მიმართულების“ მიმდევართ, თუმცა მათაც ეს „მწერალი“ ჭკუის სწავლებით დაუწყებს ხოლმე ლაპარაკს. ამ ჟამათ მას წერილის დაწერის საბაბი მისცა „პრესის სინდიკატის“ გარ-

შემო ატეხილმა კამათმა და ისიც გამოჩნდა გოთუას გაზეთის ფურცლებზე, მარა გამოჩნდა მისებურათ. მას ვერც კი გაუგია რას ვწერდით ჩვენ—ედება ლომბე-ყორეს და საჯაროთ სიცრუის თქმასაც კი არ თაკილობს; ალბათ, დაავიწყდა, რომ „სიცრუეს მოკლე ფეხები ასხია«, შეიძლება არც დავიწყებია,—„ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო“—იტყვიან და ამ „ჩვეულებას“ ვეღარ აღწევს თავს:

> „მიმოხილველმა გეროსტრატმა გაილაშქრა რედაქციის თანამშრომლების მთელი შემადგენლობის (ხაზი ჩვენია) სიფაქიზის (чистоплотность) წინააღმდეგ«

სად, როდის ვთქვით ჩვენ რამე „მთელი შემადგენლობის“, „ყველა თანამშრომლების“ ლიტერატურული სიფაქიზის წინააღმდეგ? ვინც კითხვა იცის, ამას ჩვენს ნაწერში ვერ ნახავს, მაგრამ გ. ა—ციხელი ხომ ხაზს შუა და შუა კითხულობს და ასეთი კაცი რომ გალიუცინაციით იყოს შეპყრობილი და ეჩვენებოდეს ის, რაც არ არის, ვის რათ უნდა გაუკვირდეს! ანდა, იქნებ გოთუა და ტ—ძე არიან ,,ნოვაია რეჩის‘‘ ,,ყველა თანამშრომლები‘‘? გ. ა—ციხელი თხზავს სიცრუეს, ამ „სიცრუეს ჩვენ გვაწერს, ილანძღება ავლაბრულათ და შემდეგ გამოდის და „გონებრივ და ზნეობრივ ბაგაჟზე“ ნატაციას გვიკითხავს! ამაზე იტყვიან სწორეთ—„კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო«.

ერთს კი მართალს სწერს გ. ა—ციხელი:

> „ჯენტლმენობა, თავაზიანობა ყველა ჩვენგანს არ აქვს. ბევრი ჩვენგანი გინებას ბავშვობიდანვე ვართ შეჩვეული.“

რაკი ასეა, გ. ა—ციხელს ბევრი ეპატიება. რა ქნას, თუ კი ბავშობიდანვე შეჩვეულია ლანძღვა-გინებას!

თავის „ჯენტლმენურ“ წერილს გ. ა—ციხელი შილლერის შემდეგი სიტყვებით ათავებს: ყმედობას დაჩვეული ხართ, საქმე კი არ გაგიკეთებიათო და სხვა....

გაგვიკეთებია რამე თუ არა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტათ და უადგილოთ მიგვაჩნია, მარა თუ ამაზე მიდგა საქმე, ნება გვიბოძეთ გავიმეოროთ პოეტის სიტყვები:

Вы еще не въ могилѣ, вы живы,
но для дѣла вы мертвы давно...

სახელმწიფო დუმა.

(საგ. დეპეშ.)

12 თებერვალი.

თავმჯდომარეობს ხომიაკოვი. განაგრძობენ იმპერიის ქალაქების, დაბების და პოსადების და პოლონეთის ქალაქების უძრავ ქონებებზე გადასახადების შემოღების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას. ტიმოშკინი წინააღმდეგია კომისიის რედაქციის. მოტვილოვი თხოულობს განისაზღვროს პოლონეთისთვის გადასახად 10 პროც. კენჭის ყრით დუმა ღებულობს საფინანსო კომისიის ორივე წინადადებას. კანონ-პროექტი მიიღეს და სარედაქციო კომისიას გადასცეს. სხდომა სწყდება.

საღამოს განახლებისას თავმჯდომარის ადგილს იჭერს თავ. ვოლკონსკი. დუმა იწყებს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების განხილვას 1910 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. დუმა ღებულობს წინადადებას არ განსაზღვროს ორატორთა სიტყვების დრო. მინისტრების ლოჟაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ფინანსთა მინისტრი სხედან. დარბაზში აუარებელი ხალხია. მთელი საათ ნახევარი ალექსეენკო კითხულობს კომისიის მოხსენებას ბიუჯეტის შესახებ. ფინანსთა მინისტრის პროექტით ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ხარჯების ჯამი უდრის 2,630,032,545 მანეთს, ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ შემოსავლის—2,545,817,522 მ. ამ ზედმეტ 84,215,023 მ. ხარჯის დაფარვას სამინისტრო ფიქრობს კრედიტის ოპერაციით. საბიუჯეტო კომისიამ განიხილა რა ბიუჯეტი, შესაძლებლათ სცნო შეემცირებია ის 54,858,081 მანეთით. მომხსენებელი დაწვრილებით განმარტავს თუ რით ხელმძღვანელობდენ ისინი ბიუჯეტის შემცირების დროს. ის აღნიშნავს, რომ ხარჯების, შემცირება დიდის სიფრთხილით მოხდა. მაგ., სამხედრო სამინისტროს ხარჯები მხოლოდ ექვსი მილიონით შემცირდა, რადგან კომისიას ახსოვდა, რომ მშვიდობიანობის იდეია მხოლოდ მშვენიერი სიტყვებია და სახელმწიფოს დაცვა უმთავრესი ნაციონალური საქმეა, რომელიც მუდამ ახსოვს დუმას. (მარჯვნით და ცენტ. ტაშისცემა) ყველაზე მეტი შეამცირეს ხარჯები იმ დარგებში, რომელსაც დუმას სიყვარულით ეკიდება.—ეს მიწათ მოქმედება, გლეხთა მიწების მოწესრიგება და სახალხო განათლებაა. კომისიას ერთი კაპეიკი არ მოუკლია პირველდაწყებითი სწავლის ხარჯებისთვის. ყველაზე მეტი შემცირება მოხდა გზათა და საზღვაო სამინისტროს ხარჯებში. შემდეგ მომხსენებელი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ შესაძლებელი შეიქნა შემოსავლის 33, 109, 840 მანათით გადიდება, ამას ხელი შეუწყო კარგმა მოსავალმა და საზღვარგარეთ პურის გაზიდვამ. რომ საჭირო იქნეს—ამბობს ორატორი—ჩვენ შეგვიძლია 565 მილიონი მანათის ქაღალდის ფულები გამოვუშვათ. ის ჩამოდის ტრიბუნიდან. ყველა სკამებიდან ტაშს უკრავენ. დუმა ღებულობს წინადადებას დაიხუროს ორატორთა სია. ჩაეწერა 21 კაცი.

ლაპარაკობს ფინანსთა მინისტრი. ის აღნიშნავს, რომ დუმა შეუდგა ბიუჯეტის განხილვას სულ სხვა პირობებში, ვიდრე წასულ წლებში. ის ადარებს 1910 წლის ბიუჯეტს გასულ ოთხი წლის 1906—1909 წლებისას. ამ ოთხი წლის განმავლობაში მთავრობა იძულებული ხდებოდა სესხი აეღო. 1910 წლის ბიუჯეტი კი საბიუჯეტო კომისიის წყალობით სესხს აღარ საჭიროებს და ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი ხელოვნურათ შედგენილი არ არის და რუსეთს არავითარი საფრთხე არ მოელის ფინანსების მხრით. რუსეთში პური ბევრი არის, ფულები ბევრია და ფონდები მაგარ ნიადაგზეა, ამიტომ პესსიმიზმს ადგილი აღარ აქვს. დღეს ჩვენ სრულიად დამშვიდებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ არ გადავყრით ჩვენ ქონებას, ჩვენ მას შევინახავთ ხალხის სალაროში ხელწიფისა და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ. (ტაშის ცემა „ვაშას“ ძახილი).

კუტლერი კითხულობს რა მნიშვნელობა აქვს ამ უდეფიციტო ბიუჯეტს. ფინანსების გაუმჯობესების შედეგია თუ ეს შემთხვევითი მოვლენაა. ორატორი აღნიშნავს, რომ ეს ბიუჯეტი ჯერ კიდევ ფაქტი არ არის, არამედ--პროექტი, რომელიც შეიძლება ბევრნაირათ შეიცვალოს. რასაკვირველია, დუმაში არ შეიცვლება ბიუჯეტი, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს ის სახელმწიფო საბჭოში, რომელმაც შესწყვიტა საკანონმდებლო მოქმედება და ნამდვილ საკანონმდებლო პრობკათ გადიქცა. (თავმჯდომარე წესიერებისაკენ მოუწოდებს ორატორს) კუტლერი ფიქრობს, რომ ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი უდეფიციტო ბიუჯეტი შემთხვევითი მოვლენაა. ორატორი აღნიშნავს, რომ შემოსავალში ორჯერ შეტანილია სახელმწიფო ბანკის 1908 და 1909 წლების მოგება სულ 18 მილიონი. ამას რომ გამოვაკლოთ სამი მილიონი ზედ მეტი, დაგვრჩება 15 მილიონი მანეთი ზარალი. შემდეგ აღნიშნავს, რომ კარგ შემოსავალმა კარგი გავლენა იქონია ბიუჯეტზე, მაგრამ ეს მუდამ ასე არ იქნება. ორატორის სიტყვით მთავრობას არ შეუძლია ქვეყნის ეკონომიურ ძალთა განვითარების მოწყობა, რადგან მასა და ხალხ შუა განხეთქილებათა დღევანდელ პოლიტიკურ სიბნელეში განა შეიძლება ფინანსების დაზოგვა, რომლის შესახებაც ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმა?—კითხულობს ორატორი. ორატორი აღნიშნავს, რომ არის მრავალი მოთხოვნილებები, როგორც მაგალითათ სახალხო განათლება და სხვა ყველა ამ ხარჯების დაფარვა შემოსავალს არ შეუძლია. დასასრულ კუტლერი აღნიშნავს, რომ ჩვენი ფინანსიური დაწესებულება ყველაზე უკეთესია რუსეთში. ეს ის არის, რომ შეუძლებლათ ხდის პასუხი ვაგებინოთ ეკონომიურ შევიწროვებისათვის. ეს შევიწროება ხდება საზოგადოთ მთავრობის წყალობით. საფინანსო უწყება ვერ განთავისუფლდება მთელი სისტემის გამხრწნელი გავლენით, სანამ არსებობს პოლიტიკური მონობა. (მარცხნივ ტაშის ცემა) სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თებერვალი

სპარსეთი

თეირანი. მთავრობამ მოულოდნელათ აკრძალა გილიანისა და მაზანდარანიდან ხე-ტყის გადაზიდვა. მისსიებმა პროტესტი განაცხადეს. ადგილობრივ გაგზავნილმა აბედ-ხან სეიდმა საჩივარი აღძრა კუსისის წინააღმდეგ.

თავრიზი. ეფრემთან ერთათ მოვიდენ სერდარ ბოგადური ბახტიარების რაზმით და ასეული სპარსელი კაზაკი. სულ ყარადაღიდან მოვიდა 600 ჯარის კაცი ოთხი ტყვიის მფრქვეველით, ორი სამთო ზარბაზნით და ორი საველეთი. არტილერიას ხელმძღვანელობს გერმანელი უნტერ-აფიცერი გაზე.

ოსმალეთი

კონსტანტინოპოლი. გარდაიცვალა არქეოლოგი გამიდ-ბეი.

სანიტარულმა საბჭომ გააუქმა შავი ზღვის ნავთ-სადგურებიდან მოსულ გემების გასინჯვა.

სახალხო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა ყველა სასწავლებლებში სამხედრო ვარჯიშობა ასწავლონ.

საზღვარ-გარეთ

პეკინი. ბოგდიხანის ბრძანებით დალაილამა სამსახურიდან გადააყენეს. მას აბრალებენ ლიხასიდან წასვლას. დანიშნულია მისი მოადგილის არჩევა.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სტატს სეკრეტარმა მორლეიმ განაცხადა, რომ დილაი-ლამი ინდოეთისკენ მიდის და ბრიტანეთის მთავრობას მფარველობას სთხოვს, ლიხასსის მცხოვრებნი ჩინელ ჯარის კაცთა ხელშია, დილაი-ლამი კალკუტტაში მიიწვიეს საცხოვრებლათ. მთავრობა—ამბობს მორლეი—სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს. გაიმართა ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება. დილაი-ლამის გაქცევის მიზანი არ იციან.

პარიჟი. გვადელუპიდან იტყობინებიან, რომ კუნძულზე ცუდი მდგომარეობაა. საშიშარი ამბები ხდება. დაჭრილი გაფიცული მუშები ცეცხლში დაიწვენ. სოფლიდან მიდიან მუშები, რომ შური იძიონ სამი მუშის მოკვლის გამო. მთავრობა ჯარს გზავნის.

ლონდონი. სათემო პალატა. იხილავენ საპასუხო სეფე სიტყვას ორი დღის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით უარჰყვეს ჩემბერლენის შესწორება, რომლითაც ის თხოულობდა სატარიფო რეფორმას. ნაციონალისტებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემის დროს. მუშებმა მთავრობას მისცეს ხმა.

ლონდონი. რეიტერის ცნობით დღეს ორჯერ შეიკრიბა მინისტრთა საბჭო. მდგომარეობამ უცბათ კრიტიკული ხასიათი მიიღო. სათემო პალატის კულუარებში პესიმისტური სულიერი მდგომარეობაა.

ლონდონი. სათემო პალატა. სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის შესწორება უარჰყვეს. ერთხმათ მიიღეს ადრესი. პალატის სხდომები 15 თებერვლისთვის გადაიდო.

ბუდაპეშტი. ამომრჩეველთა კრებაზე იუსტმა განაცხადა, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინაში კონსტიტუციონურ სტატუტის შემოღებით დაარღვიეს უნგრეთის კონსტიტუცია. პორტა მოითხოვს მთავრობის სამართალში მიცემას.

რუსეთი.

ჰელსინგფორსი. სენატმა უარყო უმუშევართა შუამდგომლობა 10,000 მარკა დახმარება აღმეჩინათ. სენატმა გუბერნატორის წინადადებით დაადგინა მისცეს 250 სამგზავრო ბილეთი და 2000 მარკა უმუშევართა ქალაქიდან გასაგზავნათ.

პოლტავა. თამბაქოს ქარხანაზე თავდასხმის დროს დაიჭირეს მძარცველი, რომელმაც რევოლვერის ტყვიით სასიკვდილოთ თავი დაიჭრა.

ბაქო. დარაჯებსა და კონტრაბანდისტებს შეტაკება მოუვიდათ. მოკლულია კონდრაბანდისტი.

პეტერბურგი. წინასწარ დატუსაღების სახლში თავი ჩამოიხრჩო სიტნოვმა, რომელსაც ყუმბარების სროლისთვის თორმეტი წლის კატორღა ქონდა გადაწყვეტილი.

მოსკოვი. დილის ათ საათზე საფრანგეთელი სტუმრები საზღვარ-გარეთისკენ წავიდენ. სადგურზე აუარებელმა ხალხმა გააცილა.

,,ჯეჯილის‘‘ ოცი წლის იუბილეი.

—

როცა ადამიანი შეგნებულ ცხოვრებას იწყებს და საისტორიო ასპარეზზე გამოდის, მისი ზრუნვა, მისი ლტოლვილება ახალთაობისაკენ არის მიქცეული. ეს ასეც უნდა იყოს. თუ კი სხვა და სხვა ცხოველები და ფრინველები თავ-გამეტებით იცავენ და უვლიან თავიანთ შვილებს, ადამიანთა საზოგადოებაში ამ ბუნებრივ ინსტინქტს მეტი მნიშვნელობა და ადგილი უნდა დაეჭირა. ადამიანი, როგორც უმაღლესი ქმნილება, რასაკვირველია, უფრო მეტ გამჭრიახობას და შეგნებას იჩენს ამ საქმეში. ის არ კმარობს, როგორც პირუტყვი, მარტო თა-

შერიგება

1.

გაჰყევ მაგ ბილიკს,—
მგონი იქ მიდის,
სადაც დამარხე უმანკოება.
იქ საზღვარია:
მას აბარია
შენი წარსული, ფიქრი და ნება.
კლდესა მაღალსა
ავლებდი თვალსა,
შორს, შორს ვიდოდა შენი გონება.
ფიქრათ იწვოდი,
თუმც რა იცოდი,
რომ შენდებოდა შენთვის მონება.
მომავლისაკენ,
ცხოველ მზისაკენ
დაღონებული მიგეპყრო თვალი...
ის მკერდს გეკონა,
დროებით მონა,
შემდეგ კი შენი შავი უფალი!
უღრანსა ტყესა
იმ ბედითს დღესა
თავს დაჰქროლავდენ ყვავნი, ყორანნი.
საღამოს ქარსა,
საშიშს და მძაფრსა,
ვეღარ ებრძოდენ ფრთებით ძერანი.
თავგანწირულნი
და ჩაძირულნი—
ძირს დასეოდენ ხშირსა გეშრიონს...
ფრთა გაეშალა,
ჰმატოდა ძალა
საღამოს ქარსა, სასტიკ სტიქიონს!
ხომ არ გენიშნა?—
იქნებ ქარის ხმა
დღესაც გაგონებს ვნების ჟინს აღძრულს!
მისი სიმღერა,
უმწეო ძერა—
გრძნობათ მორევში ჩაფლულსა ასულს!..

2.

ქარი რომ ჩადგა, შემდეგ ძერანი
კვლავ აიშალნენ
და მიიმალნენ.
მაგრამ შენ სევდა
უფსკრულით გწევდა,
აღარ გწყუროდა სატრფოს მზერანი!
დაივიწყევი შავი წარსული,
აწ მე მომენდე ტურფა ასული...
ის ნუ გაფიქრებს, ნუ გიშლის იჭვებს
ძირს რომ ხოხავდა ცისა ფრთოსანი!..
სამაგიეროთ ქარს არ უდრკება
და წინ მიილტვის შენი მგოსანი!..

3.

გაჰყევ მაგ ბილიკს,
მგონი იქ მიდის,
სადაც დამარხე უმანკოება.
იქ ქვა-ზღვარია,
მას აბარია
შენი წარსული, ფიქრი და ნება!
თუმცა მოშორდი,
უთხარ—მოღორდი,
სევდით იგონებ—რწმენით ახარე!
იქავ მოჰკრიფე
მინდვრის ყვავილნი
და უსულო ზღვარს გადააყარე!

იასამანი.

ხარკოვი.

ცოცხლათ დამარხული

ხესილიო ალპერიცის.

ფერნანდი ხამარას საშინელი უბედურება შეემთხვა. როგორც კი ჩავიდა თავის საკუთარ ქვა-ნახშირის მაღაროს ღრმა გვირაბში, უეცრათ მოშავდა კედელი და მიწის ქვეშ მოჰყვა. ის მოწყდა ქვეყნიერებას და საშინელ სატანჯველს განიცდიდა ამ ნესტიან სატუსაღოში. ცოტა ხნის შემდეგ პატარა სანათურიც გაქრა და გამეფებულ უკუნ ბნელეთში კიდევ უფრო მეტ უნუგეშობას და უიმედობას გრძნობდა.

პირველ ხანებში მან ვერც კი წარმოიდგინა, უკეთ, არ უნდოდა წარმოედგინა მთელი საშინელება თავის მდგომარეობისა. ცოტა ხნის შემდეგ კი ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ მას აღარ შესწევდა ძალა ან ეყვირა, ან განძრეულიყო. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, რომელიც მას მთელ საუკუნეთ ეჩვენა ის იმდენათ, მოვიდა გონს, რომ დაყვირება შესძლო. მერე როგორ ყვიროდა! ყვიროდა რაც ძალი და ღონე ქონდა, ყვიროდა სანამ ხმა არ ჩაუწყდა, ევედრებოდა ყველას ეშველათ მისთვის და ამოეყვანათ ამ წყეული ქვესკნელიდან!

ჩვეულებრივათ სასტიკი თავის მუშებთან და იმდენათ ძუნწი, რომ მუდამ იმას ფიქრობდა როგორმე სამუშაო ხელფასიდან, თუ მეტი ვერა, კაპეიკი მაინც ჩამორჩენოდა და შეერჩინა,—ის ეხლა „ოქროს მთებს“ პირდებოდა ყველა იმათ, ვინც მას დაეხმარებოდა და უდროვო საფლავიდან ამოიყვანდა.

ის გრძნობდა, რომ სუნთქვა თანდათან უძნელდებოდა და საშინელების სიცოფით შეპყრობილი მხეცურათ ღრიალებდა და ფხაჭნიდა ქვებს თავის დაბლათ მოჭრილი ფრჩხილებით.

მიშველეთ, დამიხსენით მეგობრებო! იმუშავეთ ყველამ, იმუშავეთ ცოცხლათ, სწრაფათ, შეუსვენებლათ, მოთხარეთ მიწა! ნუ დაიყოვნებთ ჩემო საყვარელო ძმებო! ამომიყვანეთ აქედან! შემდეგ მთხოვეთ რაც გინდათ: მე ჩემს ხარჯზე მივაბარებ ყველა თქვენს შვილებს სკოლებში, ავაშენებ თქვენთვის სამაგალითო საავათმყოფოს, ყველა მოხუცს და დასახიჩრებულს პენსიას დავუნიშნავ, მთელ ჩემს ქონებას თქვენ მოგცემ — ოღონდ მიხსენით მე ჩემო კარგო და კეთილო მეგობრებო! ვფიცავ ღმერთს და ღვთის მშობელს, რომ ყოველივე დანაპირებს ავასრულებ, დღეიდან თქვენ ვერ გაიგონებთ ჩემგან ვერც ერთ ცუდ სიტყვას! ხომ გესმით ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

მას რაღაცას უპასუხებდენ, მარა მიწის სქელ კედელში ვერ ატანდა ხმა და მხოლოდ რაღაც ყრუ ხმები ესმოდა, ვერ არჩევდა. რას უპასუხებდენ მას? ამშვიდებდენ, შველას პირდებოდენ თუ ნიშნის მოგებით ყვიროდენ: „მასე გეკადრება შენ სისხლის მსმელო! ეხლა გვიანღაა თავის მოკატუნება და სინანული“. ის დარწმუნდა, რომ მას სწორეთ რომ ემუქრებიან, რომ ახლა იქ, ზევით იცინიან, ხარხარებენ და სიხარულისაგან ფეხზე ვეღარ დგებიან. ამ საშინელი ფიქრის გამო სახე ცივმა ოფლმა დაულარა, მუხლები მოეკეცა და ღონე მიხდილი მიწაზე დაეშვა და ისე მაგრათ დაჰკრა შუბლი ქვაზე, რომ სისხლმა დენა იწყო.

— დიახ, დიახ, რასაკვირველია! გონება დაბნეული შეშლილივით ლუღლუღებდა. ან კი რატომ არ უნდა ხარობდენ, როცა ჩემს სიკვდილს შემდეგ ჩემი მადაროები ჩემს შვილს ანტონის დარჩება. ეს მათ კარგათ იციან, ჩემს შვილ ისინი აღმერთებენ... მათთვის ჩემი დაღუპვა დღესასწაული იქნება! ვინ იცის, იქნებ ყოველივე უბრალო შემთხვევი ბრალიც არ არის, განზრახ მოწყობილიც არის... უფალო მიხსენი ამ უბ დურებისაგან!.. ღმერთო, რატომ ცუდათ ვეპყრობოდი იმათ?.. ოო, ახ რომ მე ისინი ამომათრევდენ აქედან, სუ სხვა კაცათ გადავიქცეოდი, სულ გ მოვიცვლებოდი!.. არა, რა ეშმაკმა ჯოჯოხეთმა ჩამომიყვანა ამ წყეულ გ რაბში? რა არ ვნახე აქ? რა კარგი ნებოდა ახლა რომ სახლში დავრჩენ ლიყავი! ვიქნებოდით ახლა დამჯდა საუზმეზე ჩემს მშვენიერ აივანში. სტოლი შესანიშნავი ხილეულობით, ღვ ნოებით და ჩემი საყვარელი საჭმელებ იქნებოდა გაწყობილი... აივანის შადრევნის ნაშხეფები ცვარივით პკურებოდა არე-მარეს... ირგვლივ ყ ვილები, სტატუები... ჩემს წინ დაჯ ბოდა ჩემი ცოლი მარიამი ვარდ ფერ კაბაში გამოწყობილი... ახ, კარგი, რა ბედნიერება იქნებოდა ყო ლივე ეს; როგორ იაფათ ვაფასებ მთელ სიმშვენიერეს ამ წყნარი და მშ დი ცხოვრებისას! მზე, ცა... თავის შიაც კი არ მიფიქრია მათზე, ახლა ახლა კი მთელ ჩემს სიმდიდრეს დავ ჯავდი, რომ ერთხელ მაინც ველირსებ დე მათ შეხედვას! ყველა ამაების ვლათ კი სიკვდილი, აუცილებელი შეუბრალებელი. და მერე კიდევ

სიცოცხლეში დაიცოს ახალი თაობა
ს ცდილობს შეუქმნას მას ისეთი პი-
ბები, რომელნიც გაუადვილებენ მო-
ალ ცხოვრებას. ამისათვის ის ამზა-
ბს სამკვიდროს, რომელსაც უნდა და-
ტრონოს მისი სისხლი და ხორცი—
ი მემკვიდრე. ასეთი აზრი ასულდგ-
ლებს კაცობრიობას, მატებს მას ენერ-
ს, უღვიძებს მეტი შრომის სურვილს,
და ყველა ეს იმიტომ, რომ მას ახა-
თაობა ეზრდება, რომელსაც იგი
ნებრივათ დაჰხარის და ცდილობს მის
რუნველყოფას. უნდა დავეთანხმოთ იმ
რს, რომ მომავალი სიძლიერე და დი-
ბა იმ ერშია დამარხული, რომელსაც
ნსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქ-
ული ახალ თაობაზე. ხალხი წინ უნდა
ურებოდეს—მომავალში, ხოლო მომა-
ლი კი მომავალ თაობას ეკუთვნის. ამ
რით კაცობრიობის უკანასკნელ ისტო-
აში პირველი ადგილი უჭირავს ინგ-
ისელებს—საზოგადოთ ინგლო-საქსების
სას. ინგლისელი ახალთაობით ცოცხ-
ობს, მისით სულდგმულობს, მისთვის
დო მთელი თავისი ქონება და სულის
ძლიერე. არც ერთ ერს ისეთი მდიდა-
საბავშო ლიტერატურა არ აქვს, რო-
რც ინგლისელებს. ამ ბოლო დროს
ატრები თითქმის ბავშების საკუთრე-
ო გადაიქცენ. სპეციალურათ იწერება,
დაწერილი გადაკეთდება ხოლმე) სა-
ვშო პიესები და სპეციალური არტის-
ბი არდგენენ მათ.

რას ვხედავთ ამ დროს ჩვენში? მაშინ,
ოდესაც ინგლისელი საერთოთ „პატა-
ადამიანს“ უმაღლესს ხელშეუხლებელ
ნილებათ ისახავს,—ჩვენი მასწავლებ-
ები და აღმზრდელები ყურებს აგლე-
ნ და ლოყებს უსიებენ ცემით ამ „პა-
რა ადამიანებს“. პირუტყვთა მოვლა-
შენებას მეტი ყურადღება აქვს მიპყ-
ბილი, ვინემ ახალთაობაზე ზრუნვას.
ავინ ცდილობს დააკვირდეს, გაიცნოს
ვშის სულისკვეთება, ჩასწვდეს მას
ლის სიღრმემდე და აუნთოს შიგ და-
მრეტელი ლამპარი სიყვარულისა, ადა-
ანობისა, ლმობიერებისა და სხვა სათ-
ი თვისებებისა.

თუ კი ჯერაც ვერ შეგვიგნია ახალ-
ობის მნიშვნელობა ცხადია, რა
გომარეობაში იქნებოდა ეს საქმე ოცი
ლის წინათ, სახელდობრ მაშინ, როცა
ურნალმა „ჯეჯილმა“ დაიწყო გამოსვლა.
ჩვენს უიმედოთ დარჩენილს, ჩვენგან
ვიწყებულ „ყრმათა გუნდს“ გაზაფხუ-
ის გულ-გამთბობ სხივებივით მოევლინა
ჯეჯილი“,—ეს კაცობრიობის მკვებავი
ცენარის პირველი ნასახი. მან შეაშუქა
ნელით მოცულ პატარების არსებაში
ა აამოძრავა მათი სულიერი ძალა. ოცი
ელიწადია ჟურნალი „ჯეჯილი“ გამო-
ის, ოცი წელიწადია მას უმანკო პატა-
ა ხელები იხუტებენ და ელერსებიან,
ცი წელიწადია პატარა თითები მის
ტრიქონებს მისდევს, პატარა ტუჩები
მარცვლებიდან სიტყვებზე და სიტყვებიდან აზრებზე გადადის და ეცნობა იმ მშვენიერ საბავშო მოთხრობებს, რომელნიც იბეჭდებოდენ ამ უანგარო ჟურნალში. ოცი წელიწადი...! ადვილი სათქმელია! იმ პირობებში მუშაობა, რაც მას გარშემო ერტყა,—უყურადღებობა აღმზრდელთა მხრით, საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი ამ საგნისადმი, ნივთიერი გაჭირვება... ყველა ეს დაძლეულ იქნა და ჟურნალი მაინც გამოდის დღემდის. ეს პირველი მაგალითია ჩვენ ცხოვრებაში. არც ერთ გამოცემას ჩვენში ამდენ ხანს არ უცოცხლია. ეს მხოლოდ შესძლო „ჯეჯილმა“. აი რა შესძლებია მიზნის სიწრფელეს, საქმის სიყვარულს, უტყუარ გრძნობას გულში ჩასახულს! ვუსურვებთ კიდევ დიდხანს განაგრძოს მას თავისი ნაყოფიერი მუშაობა არჩეულ სარბიელზე.

ფარ—მან.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

დღეს, 14 თებერვალს, ქართულ თეატრში გაიმართება ჟურ. „ჯეჯილის“ დღესასწაული ამ ჟურნალის 20 წლის არსებობის ასანიშნავათ.

„ჯეჯილის“ არსებობასთან მჭიდროთ დაკავშირებულია ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის სახელი.

ანასტასია დაიბადა 1856 წელს ქალაქ თფილისში. მამა მისი, მიხეილი შეძლებული ოჯახის პატრონი იყო, ქართული ენის კარგათ მცოდნე და მწერალი. ანასტასია სასწავლებელში ადრე მიაბარეს. 15 წლისა იყო, როცა სწავლა დაამთავრა თფილისის საქალებო ინსტიტუტში.

საზოგადო ასპარეზზე ანასტასიას გამოსვლა 1880 წლიდან იწყება. ამ წლიდან იწყება მისი თარგმანების ბეჭდვა გაზ. „დროებაში“, რომელიც მაშინ ს. მესხის რედაქტორობით გამოდიოდა. მშვენივრათ გამოთარგმნა ფრანგულიდან „რობინზონ კრუზო“ „ხატაური“, «გუსტავ ვაზა», „ცრინი“, „ტახტის მემკვიდრე“ და „მათხოვარი“, ზოგი მათგანი წ. კ. გამ. საზ. მიერ უკვე გამოცემულია და პრემიათ ურიგებდა „ჯეჯილის“ მკითხველებს. ანასტასიას თარგმანი—პიესა „ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილო“ და სხვა, არა ერთხელ წარმოუდგენიათ ქართულ სცენაზე. სწერდა აგრეთვე ორიგინალურ მოთხრობებს ძველ „ივერიაში“ 1884 წ. ის დღესაც ეწევა ლიტერატურულ შრომას.

მწერლობის ასპარეზზე მოღვაწეობის გარდა ანასტასიას ბევრ საზოგადო საქმეში მიუღია და ღებულობს დღესაც მონაწილეობას. მას დიდი შრომა მიუძღვის ხელთუქმნის სკოლის დაარსებაში, რომელიც 1886 წ. დაარსდა. მისი თაოსნობით და მეცადინეობით დაარსდა თფილისში „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარეთ ის დღემდე ითვლებოდა. ხსენებულ საზოგადოების სკოლის ნებართვაც მის სახელზედაა აღებული. შრომა მიუძღვის აგრეთვე „ყაზბეგის სკოლის“ დაარსებაშიაც. ეს სკოლა მთავრობამ ერთ დროს დაკეტა. შემდეგ განაახლეს და დღეს „განათლების“ სახელით არსებობს. სკოლაში ორი განყოფილება არსებობს, პირველ-დაწყებითი და პროგიმნაზიული განყოფილება. ანასტასია აარსებდა ბიბლიოთეკებს, საკვირაო სკოლებს, ასწავლიდა სკოლებში, ითვლება ბიბლიოთეკის გამგეთ და სხვა... 1888 წლ. ვიდრე 1895 წლამდე ანასტასია წ. კ. გ. საზ. გამგეობის წევრათაც ითვლებოდა. 1895 წლიდან მან ჟურნ. „კვალის“ რედაქტორ-გამომცემლობას მოკიდა ხელი.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.
(„ჯეჯილი»-ს არსებობის 20 წლის შესრულების გამო).

1890 წ. დაარსდა ჟურნალი „ჯეჯილი“, რომელიც დღემდე ანასტასიას რედაქტორობით გამოდის.

1904 წელს სამინისტროს მიერ დახურულ იქნა ჟურ. „კვალი“ და მასთან ერთათ „ჯეჯილიც“, რომელსაც „არა საიმედო მიმართულება“ დასწამეს. ანასტასიას მუშაობისათვის თავი არ დაუნებებია. მან აიღო ნებართვა ახალ საბავშო ორგანოს «მალალურია», რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში „ჯეჯილის“ მაგივრათ გამოდიოდა. „ჯეჯილს“ ხელახლა ნება დართეს და კვლავ იწყო გამოსვლა და დღემდის გამოდის.

20 წელი სრულდება დღეს, რაც „ჯეჯილი“ არსებობს და ამ დროს განმავლობაში ანასტასია ენერგიულათ მუშაობს ამ საძნელო საქმეზე და ჩინებულათაც ასრულებს მას.

ის ჯერ კიდევ ჯანმრთელათ გრძნობს თავს და ახალგაზდურის გატაცებით და ენერგიით განაგრძობს თავის საყვარელ შრომას.

ბ.

ახალი ამბები

ქალაქის საბჭო. ხვალ, 15 თებერვალს ქალაქის გამგეობა განსახილველათ წარუდგენს საბჭოს ქ. შ. წ. გამავრც. საზ. მთავარ გამგეობის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ საზ. სახელზე ანდერძით დატოვებული შენობა შესაფასებელ გადასახადებიდან გაანთავისუფლოს ქალაქმა. ქალაქის გამგეობის მიერ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულია.

◆ **საბენეფისო წარმოდგენა.** დღეს, 14 თებერვალს ქართულ თეატრში ნიჭიერ მსახიობ ქალის ტასო აბაშიძის საბენეფისოთ, რომელიც დიდი ხანია ემსახურება ქართულ სცენას ქართულ დრამატიულ დასის მიერ ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა „ნამუსისათვის“—დრამა 4 მოქმედებათ და „გულმა იგრძნო“—ვოდ. 1 მოქმედებათ.

◆ **სიმწიფის მოწმობები.** სახალხო განათლების მინისტრს გადაუწყვეტია მომავალ წლიდან სიმწიფის მოწმობების უფლებები შეამციროს. შეამოკლებენ „ექსტერნების“ უფლებებს., ე. ი. „ექსტერნებს“ უფლება არ ექნებათ შევიდენ ისეთი უმაღლესს სასწავლებელში, სადაც მოსწავლეებს სიმწ. მოწმობების კონკურსით ღებულობენ.

◆ **მაზრის უფროსების სიეზდი.** „ნ. რ.“ გადმოგვცემს, რომ დღეს, 14 თებერვალს, თფილისში დანიშნულია თფ. გუბერნიის მაზრის უფროსთა სიეზდი.

◆ **ჟურნალისტთა კრება.** დღეს, 14 თებერვალს ქალაქის თვითმართველობას შენობაში მოხდება თფ. ჟურნალისტთა საზ. წევრთა კრება. ყაფიან-ნაგურსკის საქმის გარდა, საზოგადოების განსახილველათ წარუდგენენ სარევიზიო კომისისა და გამგეობის ანგარიშებს. მოხდება გამგეობისა და სარ. კომისიის არჩევნები.

◆ **ახალი სესხი.** თფილისის ქალაქის თავის მოადგილემ აცნობა, გუბერნატორს, რომ მე-4 საობლიგაციო სესხის განაღდების შემდეგ ქალაქი შუამდგომლობას აღძრავს მე-5 სესხის ნებართვისათვის. ამ ფულს ქალაქი წალკის წყლის საყვანის მოწყობასა და ელექტრონის სადგურის აგებას მოანდომებს.

◆ **დრამატიული საზ. წევრთა კრება.** დანიშნულია დღეს, 14 თებერვალს. კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. სხდომა დანიშნულია სამეურნეო ბანკის შენობაში.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, 14 თებერვალს, სახ. სახლში, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ. ნ. ე ერმოლაევი წაიკითხავს ლექციას „პოლიტიკურ ეკონომიაზე“. ლექციის შემდეგ გაიმართება კონცერტი. ლექციის დასაწყისი დილის 11 საათზე.

◆ **„ჯეჯილის“ იუბილე.** დღეს, 14 თებერვალს, ქართულ თეატრში, დილით, გაიმართება „ჯეჯილის“ საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნება საბავშო ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „მდგმური“, წაიკითხავენ კრილოვის იგავ-არაკებს, აჩვენებენ ცოცხალ სურათებს. დასასრულ გაიმართება მილოცვა „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის სახსოვრათ. დასაწყისი დილის 12 საათზე.

◆ **არტისტ. ვ. გ. მელიქიანის იუბილე** დანიშნულია, ხვალ, 15 თებერვალს, „არტ. საზ“. შენობაში.

◆ **საჩივარი მოიჯარადრის წინააღმდეგ.** რადგან ვერის ხიდის მოიჯარადრე სვანიძეს ორ თვეზე მეტია საიჯარადრო ფული არ გადაუხდია, ამიტომ ქალაქის გამგეობამ თავის იურის-კონსულტს მიანდო საჩივარი აღძრას სვანიძის წინააღმდეგ. სვანიძის გადასახადი ფული 2,500 მ. უდრის.

◆ **სტამბის გაქურდვა** 12 თებერვალს ამხ. „სორაპნის“ სტამბის გამგე მ. გაჩეჩილაძემ განუცხადა პოლიციას, რომ 12 თებერვალს, ღამით ვიღაც ბოროტ გამზრახველმა ამხ. „სორაპნის“-ის სტამბიდან მოიპარა სტამბის მასალა—სახაზავები 150 მანეთად ღირებული. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ქურდობა ჩაიდინა თფილისში მცხოვრებმა ალექსი მუნგერმა. დაკარგული სახაზავები იპოვნეს ზეინალ ალის ოღლის ბინაზე და პატრონს დაუბრუნეს. მუნგერი და ზეინალ ოღლი დატუსაღეს.

◆ **იარაღით ვაჭრობა.** ამ დღეებში პოლიციამ ცნობები მიიღო, რომ ლამის ყარაულს, ბაღდასარ ნაზარიანცს იარაღის საწყობი აქვს და იარაღით მალულათ ვაჭრობსო.—12 თებერვალს პოლიციამ მოულოდნელათ გაჩხრიკა მისი ბინა და აღმოაჩინა „მაუზერ-სმიტის“ სისტემის რევოლვერები, 20 პატრონა და ერთი ძველი ხანჯალიც. ნაზარიანცი დაატუსაღეს, რადგან მას იარაღის ტარების ნებართვა არ აღმოაჩნდა.

◆ **პოლიცმეისტერის განკარგულება.** თფ. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ყველა ბოქაულებს, რომ დაითხოვონ ყველა მეეზოვეები, რომლებმაც რუსულათ ლაპარაკი არ იციან მათ ადგილზე რუსულის მცოდნენი მიიღონ. სახლის პატრონები კი, რომლებიც არ დასთანხმდებიან ამ წინადადებაზე, პასუხის გებაში იქნებიან მიცემული გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

◆ **კითხვები ბავშვთათვის.** დღეს, დილის 10 საათზე ავჭალის აუდიტორიაში მცირე-წლოვან ბავშვებთათვის მასწავლებელი თ. კარბელაშვილი ქართულად წაიკითხავს „პაწია და ბუნგლია“-ს, ხოლო მასწავლებელი ო. ნასიძე მოზრდილთათვის „ალის ფერი ყვავილებს“. დღესვე დილის 10-ს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ციცკიშვილი წაიკითხავს „იავ-ნანამ რა ჰქმნა‘‘—მცირე-წლოვანთათვის. მოზრდილთათვის წაიკითხავს ე. ასათიანი „ჯანმრთელობის ხე“-ს.

◆ **ვასილ ჯანჯღარაშვილი.** სამი დღეა, რაც სახლში არ დაბრუნებულა, გუშინ წინ დილიდან საღამომდე ქარხანაში მუშაობდა. ვინც იპოვის, ან იცის, სად იმყოფება, თხოვენ აცნობონ ძმას, მუხრანის ქუჩა, № 2.

◆ **სალდათის შეპყრობა.** 12 თებერვალს პოლიციამ შეიპყრო თფილისის მოქალაქე თეგნეზ გართანიანცი, რომელიც სალდათობას ემალებოდა. შეპყრობილი თფილისის სამხედრო საკრებულოში გაგზავნეს.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 12 თებერვალს ჩხრეკის დროს სხვადასხვა უბნებში პოლიციამ დააპატიმრა 120 უპასპორტო.

◆ გამოვიდა ჟურ. „სხივის“ მეორე ნომერი შემდეგი შინაარსით. დრამატურგი ჰაუპტმანი—სურათი და ბიოგრაფია—„ჯეჯილს“ ლექსი ბ. გელასი.—ჰეინედან, თარგ. ლექ. მ. გოგოლაძისა.—საღამოს ჟამს, მოთხრ. თურდოსპირელისა.—მადარის მუშა, პიესა; თარგ. თ. ნაცვლიშვილისა.—ლიტერატურის შესახებ, წერ. შვარცისა.—ლექსი ზომლეთელისა და სხვა...

პატარა საუბარი

V.

მე იმ თავითვე ვთქვი, რომ შუღლი და კამათი დიახაც ბუნებრივია და მოსატანი ისეთ ამომავალ და ანტაგონისტურ საზოგადოებაში, რომელშიც გვიხდება ჩვენ დღეს მოქმედება. მაგრამ ეს გარემოება ხშირათ გვიშლის ჩვენ, სამწუხაროთ, ჯეროვნათ გავითვალისწინოთ ამა თუ იმ საკამათო საგნის ზოგი ისეთი მხარენიც, რომელნიც თავის თავათ განუზომელ მნიშვნელობისა არიან და იმავე დროს ერთობ საჭირ-ბოროტონი ჩვენი საზოგადოების ყველა პროგრესიული წრეთათვის, დამოუკიდებლათ შეხედულებისა და მიმართულებისა.

ერთი ასეთი შემთხვევა მეგულება მე ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების ირგვლივ ატეხილ კამათში—შესახებ საწევრო გადასახადისა.

აქ დეტაკენ ერთმანეთს ერთი და სამ მანეთიანები, თუ შეიძლება ასე ითქვას. საბაბ-მიზეზი ამ დატაკებისა ღრმაცაა და ზეზეურიც ერთ და იმავე დროს. იგი ღრმაა, როცა ერთი მხარე ცდილობს ხალხი უფულო მიზეზის გარეშე ხსენებულ საზოგადოებიდან განდევნოს ან არ მიაკაროს მას, და მეორე მხარე კი ეომება ამ გათახსირებულ ბიუროკრატიზმს; იგი არის ზეზეური, როცა ერთი მხარე გულწრფელათ მიუთითებს „დამოუკიდებელ მიზეზებზე“ და ამბობს—ხალხის შემოშვება თვით საზოგადოების გაუქმებით დაბოლოვდებაო, და მეორე მხარეც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ მოსაზრებას,—ერთი სიტყვით, როცა ურთიერთი სჯა-დათმობის ტაქტიკა მესვეურობს.

იმ უთანხმოების გადაჭრა, რომელსაც მე „ღრმა“ ვუწოდე, შეუძლია მხოლოდ და მარტო ბრძოლას, პირუთვნელს და სისტემატიურს, და ეს არც კი შეადგენს დღევანდელ ჩემს საუბრის საგანს. ხოლო, რაც შეეხება „ზეზეურ“ უთანხმოებას, ეს ერთობ საჭირბოროტოა და ყველა პროგრესიულ წრეთათვის თანაბრათ საგულისხმიერო. აი, ამ მხარეზე მართლაც აუცილებელია და სასარგებლოც შეჩერება.

განვაგდოთ ყოველი მიკიბულ-მოკიბულება და სიმართლეს თვალის-დაუხამხამებლათ შევხედოთ. ქარ. შორ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. არის მარტოოდენ განმანათლებელი და კულტურული დაწესებულება. მან უნდა მიაწოდოს მკვიდრთ პირველ-დაწყებითი სწავლა, არც მეტი არც ნაკლები, მაშასადამე, იგი არსებული პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს ყოველ შემთხვევაში და არც უნდა თვალში ეჩხირებოდეს ის გონიერ მთავრობის გონიერ წარმომადგენელთ. მაგრამ, სავალალოთ, ჩვენ მოკლებული ვართ ასეთ ნორმალურ პირობებს. ხსენებულ საზოგადოების დემოკრატიზაცია ჰკუაში არ დაუჯდებათ იმათ, ვისაც „ჯერ არს“; ისინი, ალბათ, სიკვდილის ცელით მოევლინებიან მას თავზე, როგორც ეს ჩაიდინეს მათ არა ერთხელ და არა მარტო განაპირა ადგილებში (გაიხსენეთ კიევი და ხარკოვი).

მეორეს მხრით, არა ნაკლებ ნათელია და ყველასთვის გასაგები, რომ ჩვენი განმანათლებელი და მასთან ერთათ ერთი საზოგადოება თანდათან სჰკნება... მეტსაც ვიტყვი, იგი არცა-როდის არ გაფურჩქვნილა, ასე რომ, დაჭკნობაც არ შეეძლო. რაა მთავარი და ღრმა მიზეზი? ეს არის ის, რომ ჩვენი ხალხი არა სთვლის მას თავისად... მეტსაც ვიტყვი, იგი არც კი გრძნობს მის არსებობას. «გაიგეთ ხალხნო და ჯამაათნო!“—მე

შინელი სიკვდილი!.

მარა როგორ დავიჯერო, რომ მა-
ამმა და ანტონიომ, ცოლმა და შვილ-
არ იზრუნონ ჩემთვის და ზომები არ
იღონ? მუშები მათ დაუჯერებენ, არა-
ურზე უარს არ იტყვიან... სახლში, რა-
კვირველია, ყველამ იცის ახლა ჩემი
ბედურება და ახლა ნამდვილათ გაცხა-
ებული მუშაობაა ჩემი შვილის და ცო-
ის ბრძანებით და ხელმძღვანელობით.

ამ აზრმა ის რამდენიმე წუთით დაამ-
იდა და გადასწყვიტა მოთმინებით ეცა-
, სანამ მასთან მივიდოდენ საშველათ.
ცრათ სულ სხვა ფიქრმა გაუელვა თავ-
: არა, რატომ უნდა იყოს დარწმუნე-
ლი რომ ცოლი და შვილი ასეთ მხუ-
ველე მონაწილეობას მიიღებენ მის უბე-
ურ ხვედრში? რათ ესაჭიროება მათ ის?
ნა მარიამისათვის ბევრათ უკეთესი არ
ის დარჩეს ახალგაზრდა და მდიდარ
ივათ და მერე გაჰყვეს ცოლათ ვის-
ც მოისურვებს, თუ გინდა რომელიმე
ფს? რაც შეეხება შვილს, ანტონის,
ხომ ხშირათ უხდებოდა მასთან შე-
ება მუშების გულისათვის და ლიბე-
ლი, ახალგაზრდა ანტონიო ხომ მუ-
მ იმის ოცნებაში იყო, რომ წარმოება
ლ სხვა საფუძველზე აეგო. არა, რა
ლელი ვარ მეც ერთი რომ დავიჯერე
ეს ორი თავს შეიწუხებენ ჩემი უბე-
რებისათვის და ჩემს გადარჩენას ეცდე-
ნ! არა, ნამდვილი სულელი ვარ და
ტი არაფერი! ხა, ხა, ხა!

ის ხარხარებდა, ხარხარებდა საშინელი,
ზვერათ გიჟის სიცილით... უეცრათ
ჩუმდა, სუნთქვა შეწყვიტა და სმენათ
დაიქცა. სიხარულით თავს არ უჯეროდა:
სადღაც, მის ახლო ხმაურობა ისმოდა, აუარებელ წაკატებს და ნიჩბებს ქვებზე ურტყამდენ და უეცრათ მოესმა ყრუ, მაგრამ, გარკვეული ხმა:

— ეი ხაზეინო! გესმის?

— დიახ, დიახ!—ალტაცებით წამოიძახა მან, ფეხზე წამოხტა, და ინსტიქტურათ, სიხარულისაგან აძგერებულ გულზე ხელებ მაგრათ დაჭერილმა დაიყვირა:

თქვენ ჩემთან მოდიხართ საყვარელო და ძვირფასო მეგობრებო?

— მოვდივართ! მოვდივართ! იყავით წყნარათ! სამ საათს შემდეგ ამოგიყვანთ!—

ის სიტყვა—შეუბრუნებლივ დაემორჩილა და დამშვიდებით ელოდა მათ მოახლოვებას.

გაიარა რამდენიმე საათმა—და უცაბედმა სამარემ გაანთავისუფლა თავისი მსხვერპლი. ის ისევ გამოჩნდა დედამიწის ზურგზე, ნეტარებით შეჰყურებდა მოწმენდილ ცას, ის ეხლა თავისუფალი იყო, შეეძლო ეცხოვრა, დამკტბარიყო და მბრძანებელი გამხდარიყო. და როგორც კი იგრძნო, რომ ის სრულიათ გადარჩენილია და თავისუფალია, უეცრათ მიუბრუნდა ირგვლივ შემორტყმულ მუშებს და განრისხებული დაუყვირა:

— დამაცათ მე თქვენ! მე თქვენ გასწავლით თუ რას ნიშნავს ასეთი ორგულობა და საქმის აგდებულათ კეთება, თქვე უსაქმურებო, თქვე არამზადებო თქვენა. ხაზეინის ჩაყვანაც კი არ შეგიძლიათ გვირაბში ისე, როგორც რიგია თქვე მთვრალო ვირებო თქვენა!—ამ სიტყვებთან ერთად მმართველს ხელი დაუქნია და უბრძანა იმავე წუთში დაეჯარიმებია ყველა მუშები...

№

ვიტყოდი ილიასებურათ—ხალხი არ ხედავს თქვენს საზოგადოებას და არც თავს იმტვრევს მასზე!

ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ—აი აქსიომა, რომელიც ნიუტონისაზე უფრო მტკიცეა. მე მეგულება ისეთი დაჩაგრული ერები, რომელთა მაღალი წრეები შეძლებულნი არიან და ამიტომ მზგავსი საზოგადოებანიც უდემოკრატიზაციოთაც ახერხებენ, დღეს-დღეობით მაინც, არსებობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას, შედარებით. ჩვენ არა ვართ ასეთ სიტუაციაში. აქედან ხალხის დაინტერესება საზოგადოებით უეჭველ შეუძლებელია და მაინც უტოპიაც, თუ იგი არ ავაგეთ დემოკრატიულ საფუძველზე. ესეც აქსიომაა.

მაშ ასე, ჩვენი ერთათ-ერთი საზოგადოება ვერ ბოგინობს და ვერც იბოგინებს უდემოკრატიზაციოთ, ხოლო დემოკრატიზაცია თვალ წინ გვიელვარებს სიკვდილის ცელს. აი მთელი ჩვენი ტრაგიზმი, აი რას უნდა მიექცეს პრესის განსაკუთრებული ყურადღება. მე იმედს არ ვკარგავ, ყველა ჯურის პროგრესისტნი ხმას აიმაღლებენ ამ საჭირო-ბოროტო კითხვაზე. მეც ვეცდები მაშინ ხელმეორეთ დავუბრუნდე ამ საგანს. თავი დავახწიოთ ამ მოჯადოებულ წრეს, მეტი გზა არაა...

წინწკალი.

შეკითხვა „მარცვალი“-ს რედაქციას.

ბაქოელი გაზეთი „მარცვალი“ მეოთხე ნომერში ეხება თფილისში მომხდარ ლიტერატურულ სკანდალს—მარზოევის ისტორიას და ამბობს, რომ სხვისი ფულით გაზეთების გამოცემა რუსეთში პირველი არ არისო. მაგალითად მოჰყავს პეტერბურგელი გაზეთი „ნაჩალო“, რომელსაც სცემდენ იქაური ს.-დემოკრატები 1906 წელში და საზღვარგარეთელი გამოცემა პლეხანოვის „დნევნიკი“. ორივე ეს გამოცემა—თურმე პროვოკატორების საშუალებით გამოდიოდაო, გვაუწყებს გაზეთი „მარცვალი“. მე ჯერ არ ვეხები იმას, თუ რამდენათ საფუძვლიანია ეს პარალელი, მე აქ მაინტერესებს ჯერ მეორე მხარე ხსენებულ გაზეთის აღმოჩენაში: „მარცვალი“ ამ პარალელის გავლის შემდეგ ლექციას უკითხავს ლიტერატურულ ქვეყანას მორალზე და ცდილობს დაუმტკიცოს, რომ სხვისი ფულით გაზეთის გამოცემა შესაწყნარებელი არ არის, რა სარჩულიც უნდა ედვას ფულით შემწეობის მიღებასო. აი ეს ლექცია მორალზე მაიძულებს მივსცე „მარცვალი“-ს რედაქციას შემდეგი შეკითხვა: 1) საკუთარ ხარჯზე სცემს რედაქცია თავის გაზეთს თუ გარედან ღებულობს შემწეობას? 2) თუ ღებულობს, ე. ი. რომელ კლასს ეკუთვნიან შემწეობის მომცემნი?

ამ პასუხს, რასაკვირველია, იმედია მივიღებ „მარცვალი“-ს ფურცლებზე დაბეჭდილს, უამისოთ პასუხს არაფერი აზრი არ ექნება, რადგან საჭიროა ეს მკითხველებისათვის, თორემ მე შეიძლება უამისოთაც გამეგო.

დავშთები პასუხის მოლოდინში
დალდა.

შენიშვნები

VI.

ცოტა რამ სომეხთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

დღეს სომეხთა საზოგადოებრივი ცხოვრება ორი მიმდინარეობის, საზოგადოებრივი ორი ძალის ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს. გაზეთ „მშაკი“-ს გარშემო ჩამოყალიბდა ნაციონალ-ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებიდან ბეჯითად ერეკება „დაშნაკციუტუნის“ სამოსელში გახვეულ წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიას.

თავისუფლების დღეებში, როცა სომეხთა მასსის უმრავლესობის ყურადღება ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციისაკენ იყო მიქცეული, რასაც ფრიად ხელს უწყობდა სომეხ-თათართა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება, ამ უკანასკნელმა სასტიკი იერიში მიიტანა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმზე, რომლის ჭეშმარიტი ხელმძღვანელი იყო გაზეთი „მშაკი“. ინტელიგენციის ეს ნაწილი მაგრათ იყო ჩამჯდარი სომეხთა სხვადასხვა დაწესებულებებში. ამ იერიშის შედეგი იყო ,,მშაკაკანების'' სრული განადგურება, ისინი იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ და ყველა პოზიციები მტერს ჩაუგდეს ხელში. ამ უსწორო ბრძოლაში ,,მშაკაკანები'' იძულებული გახდენ მოეძებნათ მოკავშირე სომეხ რეაქციონურ კლერიკალთა შორის. ასეთი ნაბიჯი ,,მშაკის'' ჯგუფისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ის იძულებული გახდა მებრძოლ ლიბერალიზმის პოზიციიდან დამყაყებულ, მშიშარა კლერიკალურ-რეაქციონურ ლიბერალიზმის სულით გაჟღენთილ პოზიციაზე გადასულიყო. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კიდევ უფრო ნიადაგი მოუმზადა „მშაკის ჯგუფის“ დამარცხებას.

ძალიან უნებურათ ,,მშაკისტების'' მიერ დატოვებული პოზიციები წვრილ-ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ დაიჭირა. ამ ჯგუფის წინააღმდეგ გაილაშქრა ჭეშმარიტმა დემოკრატიამ, ორგანიზაციულათ შეკავშირებულ პროლეტარიატის წარმომადგენელთა სახით. მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელი ჯგუფი მცირერიცხოვანი იყო, მან დაიწყო ბრძოლა და რამდენათმე კიდეც გაიმარჯვა.

მაგრამ დადგა შავი დღეები. ყველაფერი ახალი დაინგრა. დემოკრატიული ინტელიგენცია განადგურდა. და აი, ამ ხელსაყრელ დროით ისარგებლეს დღეს ,,მშაკისტებმა'' და იერიში იერიშზე მიიტანეს კედელზე მიკრულ მტრის წინააღმდეგ. დაიწყო ბრძოლა—ერთი მხრით „ტუპიკში“ მომწყვდეულ წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და მეორე მხრით კლერიკალურ-რეაქციონურ ელემენტებით ზურ-გამაგრებულ ,,მშაკის'' ჯგუფს შორის. ფრიად დამახასიათებელია ის ლოზუნგები და არგუმენტაციები, რომლებსაც ,,მშაკისტები'' აყენებენ ამ ბრძოლაში.

წვრილ-ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ ხელში ჩაიგდო რა სომეხთა ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებები და უმთავრესათ სკოლების საქმე, ცდილობდა ამ სფეროში ზოგიერთი რეფორმები მოეხდინა. შეამცირეს სასულიერო საგნები, რადგან ის, პედაგოგიური შეხედულობით ბავშვებისთვის საზიანოთ დაინახეს; სამაგიეროთ, პროგრამაში შეიტანეს საბუნებისმეტყველო და ზნეობრივი სწავლის საგნები. ამ რეფორმების გასატარებლათ საჭირო იყო შესაფერი კაცები და ამიტომ სკოლებში მასწავლებლობა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციას გადასცეს. და აი, ამ გარემოებით ისარგებლეს „მშაკისტებმა“ და ბეჯითად ეწევიან მათ წინააღმდეგ ბრძოლას, რასაც ხელს უწყობს საზოგადოებრივ აზრის—„მშაკისტების“ სასარგებლო მიმართულება, ეს კი წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის უნიადაგო პრინციპების და მათ გამრყვნელ ტაქტიკას უნდა მიეწეროს, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ამ გვარათ, სკოლების საქმე „ურწმუნო ხალხზე“ ჩაიგდო ხელში, რომლებიც რყვნიან მოსწავლეთა სარწმუნოებრივ გრძნობას და ცუდ გავლენას ახდენენ მათ სარწმუნოებრივ აღზრდაზე. აი აბლანდელი ,,მშაკი''-ს მთავარი არგუმენტი: არგუმენტი საფრანგეთის კლერიკალთა კათეხიზმიდან, იმ კლერიკალთა, რომლებიც სასტიკ ბრძოლას ეწევიან საერო სკოლების წინააღმდეგ, ანუ ესპანელ იეზუიტთა კათეხიზმიდან, რომლებსაც იერიში მიაქვთ თავისუფალ მოაზრეთა სკოლების წინააღმდეგ. მეორე მთავარი არგუმენტი ,,მშაკისტებისა'', ამ ჯგუფის წინააღმდეგ არის ის, რომ უკანასკნელებმა თავიანთ მომხრე ისეთი ხალხით აავსეს სკოლები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ პედაგოგიურ საქმესთან. ეს უკანასკნელი არგუმენტები რამდენათმე მართალია. მაგრამ დამახასიათებელი აქ ის არის, რომ ასეთივე ბრძოლა შკოლების გარშემო ხდებოდა მეოთხმოცე წლებში, იმ განსხვავებით, რომ მაშინ „მშაკაკანები“ ისეთ როლს არ თამაშობდენ ამ საქმეში, როგორც ეხლა. მაშინ „მშაკს“ სათავეში ედგა ცნობილი პუბლიცისტი გრიგოლ არწრუნი, მტკიცე ლიბერალი. მის გარშემო მჭიდროთ შემოკრებილი იყო სომეხთა საზოგადოების საუკეთესო პირნი. იერიში დამყაყებულ კონსერვატიულ-კლერიკალიზმის წინააღმდეგ მიქონდათ, რომლის წარმომადგენელი იყო „ნორ-დარი“ და „მეგუაკანი“. მაშინდელი კლერიკალიზმი „მშაკის“ წინააღმდეგ ისეთ არგუმენტაციას აყენებდა, რომელსაც ეხლა „მშაკი“ აყენებს წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის წინააღმდეგ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: „მშაკი“ და მისი ჯგუფი „კლერიკალიზმს გადაეხვია და დღეს რეაქციონურ-კლერიკალიზმის დაჟანგებულ იარაღით დემოკრატიზმს ებრძვის. ყოველივე ეს იმის წინამორბედია, რომ „მშაკაკანთა“ ნაციონალ-ლიბერალი იდეოლოგია სრულ გაკოტრების გზას დაადგა.

სომეხი

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი

უარი დახმარებაზე. რამოდენიმე დღის წინათ ბენდერ-აბას სრუტეში შევიდა ინგლისის სამხედრო გემი. გემის უფროსმა გუბერნატორს წინადადება მისცა: 500 ჯარის კაცს გადმოვიყვან მეცხოვრებთა დასაცავათ და დასახმარებლათ თუ უწესოებამ სადმე თავი იჩინაო. სპეხდარმა ცნობის მიღებისთანავე უპასუხა გემის უფროსს, რომ უწესოების ჩამდენთა წინააღმდეგ სპარსეთის მთავრობას საკმარისი ძალა აქვს და დახმარებას არ საჭიროებსო.

საზღვარ-გარეთ

სინდიკალისტების პროტესტი. პარიზიდან „რ. ს.“ ატყობინებენ, რომ შრომის გენერალურმა კონფედერაციამ ტრივოლის დარბაზში დიდი მიტინგი გამართა მუშათა პენსიების კანონის შესახებ პროტესტის გამოსაცხადებლათ. მიტინგზე სინდიკალისტებმა განაცხადეს, რომ ეს კანონი დიდ უსამართლობათ უნდა ჩაითვალოს მე-20 საუკუნეში, რადგან ის ბურჟუაზიას საშუალებას აძლევს თავისთვის ფონდი შეადგინოს მუშების ნაოფლარით. სოციალისტებმა, რომლებმაც ნიმის კონგრესზე დაადგინეს კანონს მხარი დაუჭირონ, უარი განაცხადეს მიტინგში მონაწილეობის მიღებაზე.

ანტი-კლერიკალური დემონსტრაცია. იტალიის ყოველ კუთხეებში დიდი დემონსტრაციები გაიმართა ჯიორდანო ბრუნოს დაწვის 310 წლის-თავზე. დემონსტრაციები სასტიკათ კიცხავდენ კლერიკალებს. ზოგიერთ ადგილებში დემონსტრაციები უწესოებით დასრულდა. გაზეთები ერთხმათ აღნიშნავენ, რომ ანტიკლერიკალური მოძრაობა შესამჩნევათ იზრდება იტალიაში.

ქალთა უფლება. უკანასკნელ ხანებში იტალიაში ფეხი მოიკიდა ქალთა მოძრაობამ. სონინოს სამინისტრო სესიის ბოლოს კანონპროექტის შეტანას აპირებს პალატაში, რომლითაც ქალებს აქტიური საარჩევნო უფლება მიენიჭებათ კომუნალურ არჩევნებში. აზრათ აქვთ შემოიღონ განათლების ცენზი და 25 წლის ხნოვანება.

დემონსტრაციები გერმანიაში. უკანასკნელათ გამართულ დემონსტრაციების დროს მთავრობას დიდი შიში დაეტყო. ბრესლავლში სოციალდემოკრატებმა ნებართვა მიიღეს დიდი მიტინგის გამართვის შესახებ. მიტინგი გაიმართა ღია ცას ქვეშ და იმდენათ მრავალრიცხოვანი იყო, რომ მიტინგზე ერთდროულათ 5 ორატორი ლაპარაკობდა. ბოხუმში პოლიცმეისტერმა მუშათა ხელმძღვანელს უთხრა, რომ პოლიცია მუდამ მზათ არის დათმობისათვის, მხოლოდ საჭიროა წინდაწინვე ვიცოდეთ, როდის ან სად აპირებთ დემონსტრაციების გამართვასო. მუშებს პოლიცმეისტერის გულუბრყვილობა სასაცილოთაც არ ეყო.

ფრანკფურტში ხალხის მღელვარება ისევ გრძელდება. ღამით უცნობებმა პოლიციელები დასჭრეს და მიიმალნენ.

რუსეთი.

დუმბაძის მადლობა. იალტაში გამოქვეყნდა გენ. დუმბაძის მადლობა ადგილობრივ გარნიზონისადმი.

გენერალი აღნიშნავს მის განკარგულებაში მყოფ მხედრულთა ნაწილს, აღტაცებას გამოთქვამს მათი პატრიოტული გრძნობისა და სამაგალითო მხნეობის გამო, იგონებს, სხვათა შორის, „რომ ერთი ოხერი მიცვალებულის დასაფლავებას 10,000 კაცი დაესწრო, მაგრამ საკმარისი შეიქნა მხედრულთა გამოჩენა, რომ რეგვენი დემონსტრანტები შიშით დაფანტულიყვნენ“. შემდეგ გენერალი მოგვითხრობს, რომ, როდესაც მას ეუმბარა ესროლეს, მხედრული ჯარის კაცები იმდენათ აღელვებულნი იყვნენ ამ შემთხვევით, რომ მზათ იყვნენ იალტაში ქვა-ქვაზე აღარ დაეტოვებიათ, მაგრამ გენერალმა მათ ნება მისცა მხოლოდ რევოლიუციონური ბუდე მიეცათ ცეცხლისათვის, საიდანაც ეუმბარა ისროლეს.

იალტაში „მშვიდობიანობაა“. იალტიდან „რ. ს.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ 14 წლის პელაგია დავიდჩენკოს ღამით ქუჩაზე ორი უცნობი თავს დაეცა. ბოროტგამზრახველებმა დავიდჩენკოს პირში ჩვარი ჩატენეს, მიყრუებულ უბანში ჩაათრიეს და გააუპატიურეს. შემდეგ საბრალო ქალი ქვახანაში წაიყვანეს, სადაც მხეც კაცებს რამოდენიმე თათარიც მიემატა. უმოწყალოთ დატანჯული მსხვერპლი მხოლოდ დილით განთავისუფლეს და სიკვდილით დაემუქრნენ, თუ გაბედავდა მის თავგადასავლის თქმას.

ილიოდორის სიტყვა. ცარიცინის სამონასტრო ეკლესიაში მწუხრის დროს ბერმონაზონმა ილიოდორმა სასტიკათ გაილაშქრა ეპისკოპოსებისა და სხვა უმაღლეს სასულიერო პირების წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტიკური შინაარსიან ქადაგების წარმოთქმაზე უარს ამბობენ. ილიოდორმა მათ მოღალატეები, ფარისევლები, პირმოთნეები უწოდა და ყოველგვარი სიბინძურით ავსილ კუბოებს შეადარა. „უ. რ“. სიტყვით მსმენელები თანაგრძნობით შეხვდენ ილიოდორის სიტყვას.

ბებელის მილოცვა. 9 თებერვალს შესრულდა 70 წელი ბებელის დაბადების დღიდან. სახელმწიფო დუმის ს. დ. ფრაქციამ ამ შემთხვევის გამო შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ბებელს: „სოციალდემოკრატიული ფრაქცია ულოცავს 70 წლის იუბილეს სახელოვან ბელადს გერმ. სოც. დემ. პარტიისას—აგუსტ ბებელს. აღიზარდეთ რა პროლეტარულ წრეში, თქვენ, თქვენი მოღვაწეობით დაამტკიცეთ, თუ რამდენი ენერგია და საუკეთესო ძალა იმარხება მუშათა კლასის წრეებში, რომელიც ასე დაჩაგრულია კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ნახევარი საუკუნეა, რაც თქვენ სახელოვან, შეუდრეკელ და შეურიგებელ მებრძოლის „პოსტზე“ დგახართ და გერმანიისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს თავდადებულათ იცავთ. დამარცხების დროს თქვენ არასოდეს გული არ გაგიტეხიათ და თავ-ბრუ დამსხმელ გამარჯვების დროს სულიერი სიმშვიდე არ დაგიკარგავთ. გისურვებთ, რომ კიდევ დიდხანს შეგრჩენოდესთ მებრძოლის მხნეობა და მრავალ წელს დარჩენილიყოთ გერმანიის და საერთაშორისო მუშათა პარტიის ინტერესების უბადლო დარაჯათ“.

მუშათა შორის

როსიის მუშათა არტელი. როგორც გწერდით, მოიჯარადრე ალექსი მელაძის კონკურენციამ გასჭრა და როსიის საზოგადოების არტელი წავიდა დათმობის გზაზე; როსიის არტელმა დაკარგა რა ბევრი უფლებები, სამუშაო მაინც შეინარჩუნა და ამ რიგათ არტელის ბრძოლა კანტორასთან დროებით შესწყდა, რადგან ახალ ხელშეკრულობას ერთი წლის ვადა აქვს. მორჩა თუ არა როსიის არტელი გარეშეებთან ბრძოლას, გაიმაგრა თუ არა ზურგი ახალი ხელშეკრულობით, მაშინვე შიგნით გამოაცხადა ომი, გარეკა (როგორც ზევით აღვნიშნეთ) ხონელები და სხვები, რომლებიც მელაძეს უჭერდენ მხარს (უმრავლესობის მტკიცებით). თუ არტელის ბრძოლა კანტორასთან ძლიერი და ხმაურიანი იყო, არა ნაკლები ანარქია გამოიწვია შინაურმა ბრძოლამ. ხელშეკრულობის მოპოვებამდე არტელი ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ გაიყო. ერთი მხრით მელაძისტები და მეორეთი გურულ-მეგრელები და ეს ორი ნაწილი ერთი და იგივე არტელისა სამკვდრო-სასიცოცხლოთ დაუპირდაპირდენ ურთიერთს და როგორც გხედავთ, სრულიად დასცეს შრომის პირობები. ხელშეკრულობის შემდეგ, როგორც ზემოთ ვსთქვი, დაიწყო შურის ძიება. გურულ-მეგრელთა ბლოკმა გარეკა 55 მუშა, რომლებიდან მხოლოდ 17 კაცი იქნა უკან მიღებული; დანარჩენებსა და არტელის შორის გაიმართა მოლაპარაკება. გაძევებულნი მოითხოვდენ სამედიატორო, სამართალს, მაგრამ, სამწუხაროდ არტელი ამაზე არ დასთანხმდა. ის გაქცა სამედიატორო სამართალს *) გაძევებულებმა მიმართეს აქ სხვა და სხვა დარგის მუშებს და მოსთხოვეს ამ საქმეში ჩარეოდენ. 13 იანვარს მოხდა ხსენებულ არტელის კრება, რომელზედაც გამოცხადდა ყველა დარგის წარმომადგენლები. უკანასკნელებმა თავიანთ სიტყვებში ხაზ-გასმით აღნიშნეს ის, რომ მუშები შურის-ძიებით არ უნდა დაბრმავდენ და ყველას ერთგვარათ უნდა მოეპყრან. მართალია, გაძევებულთა შორის არიან დამნაშავენი, მაგრამ არიან ნაკლებათ დამნაშავენიც და ან სულ უდანაშაულო. ამიტომ გაგვაძევეთ მეტი დამნაშავენი, მეთაურები დაიქსაქსვიან, და ნაკლებათ დამნაშავენი კი დავუშვათ სამუშაოზეო. მაგრამ ეს სამართლიანი განმარტება როსიის არტელმა უყურადღებოთ დასტოვა.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ მთელ კრებაზე არ გამოჩნდა არც ერთი პირი, რომელსაც მხარი დაეჭირა კანონიერ მოთხოვნილებისათვის. აშკარაა აქ ერთი. არტელს არავის მიღება არ სურს, რომ არ მოაკლდეს თითეულს ხელფასი, რადგან რაც ნაკლები ხელი მუშაობს, მით მეტი დარჩებათ. და როცა მუშები სხვა მუშებს არავითარ ანგარიშს არ უწევენ, როცა ისინი თვით სთელავენ სამართლიანობას, ცხადია, ეს გათახსირების მომასწავებელია, ცხადია, ეს შედეგია სრული უვიცობის და ჟინიანობის.

ჩვენ იმის საბუთებიც გვაქვს, რომ არც გურულ-მეგრელები არიან სრულიად მართალნი ხონელებთან და ეს იმაში, რომ გურულ-მეგრელებმა უარი უთხრეს ხონელებს შეერთებულ მოქმედებაზე, როცა გურულ-მეგრელებმა ხონელების საიდუმლო მოქმედება გაიგეს. მათ ეხლა გარეკეს თითქმის ყველა მუშები, გასადევნი კი მხოლოდ 20 კაცი იყო. როსიის არტელი არაპირდაპირ გაექცა სამედიატორო სამართალს.

მან არავითარი ანგარიში არ გაუწია ფოთის სხვა და სხვა სამუშაო დარგის წარმომადგენლებს და მით აღიარა, რომ ფეხებზე ჰკიდია სხვა მუშების და საზოგადოების აზრი, ოღონდ პირადი ჟინი კი მოიკლას.

გალია.

---

*) არტელი მართალია უარს არ ამბობდა სამართალზე, თითქო თანხმდებოდა მას, მაგრამ განაჩენის უფლებას თვით იტოვებდა.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

ცნობა

კიროჩნი ქუჩაზე, ძველათ ყოფილ „ვარშავის ნომრების“ № 21 სახლში იხსნება ახალი ნომრები ახალი სახელით:

ოტელ-იმპერიალ

სახლს გავუკეთეთ დიდი რემონტი. ავეჯი იქნება სულ ახალი; მთელი სახლები იქნება **ელექტრონის** სინათლით განათლებული. ჰიგიენით და სისუფთავით საუცხოვოა, თვით პატივცემული მდგმურების მოსაწონი.

პატივისცემით: ხატოევი და ამხანაგობა.
(0—5—1)

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

ხირსა

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში **ტატო** გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ **იაფად** ბოთლი—15-დან—30 კაპეიკამდე.
(0—18)



ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით უმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში: (0—1)

№ 1 „ — 20 к. 16 „ — 3 р.
№ 2 „ — 25 к. 16 „ — 3 р. 60 к.
№ ˜ — 35 к. 16 „ — 5 р. 10 к.
„ — 50 к. 16 „ — 7 р.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7
Мухаилу НиколаевичуКоаловъ д.

ტფ. ქალ. თვითმართველობა ამით აუწყებს,

რომ 7 მარტს, დღით 12 საათზე სახალხო სახლის სადგომში დანიშნულია თანახმათ 1906 წლის 15 ნოემბრის კანონისა, თფილისის სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა (პრიკაზჩიკების) კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს თავიანთ შორის წარმომადგენელი შერეულ კომისიაში, რომლის მიზანია გამომუშავება სავალდებულო დადგენილებათა შესახებ დასახელებულ დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების უზრუნველ ყოფისა.

კრებაზე დასწრების უფლება ეძლევათ სრულ წლოვან მოსამსახურეთ (პრიკაზჩიკებს), თითოს თითეულ სავაჭრო დაწესებულებიდან, რომელიც არჩეული იქნება, როგორც წარმოდგენილი, იმავე დაწესებულების სრული წლოვან მოსამსახურეთაგან.

კრების მონაწილენი ვალდებულნი არიან წარუდგინონ შესვლისას მისი ამრჩეველების მიერ ხელმოწერილი რწმუნების ქაღალდი. კრებაზე მონაწილეობის მიღება ეძლევათ მხოლოდ იმ სავაჭრო დაწესებულებების «პრიკაზჩიკებს», რომელთაც 1909 წელს დაევალათ სამრეწველო გადასახადის გაღება. (3—1)

სტამბა „შრომა“, რუსის ქუჩა № 3.